სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 1 23 0000924718

25/07/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის,43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“,სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 28 ივლისის N1.1/86 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისწესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (24/07/2023წ; N915833) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

ა) 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადებისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 8 სექტემბრიდან 2023 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით;
ბ) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის წერილობითი თანხმობის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 11 სექტემბრიდან 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით;

გ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 13 სექტემბრიდან 2023 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით;
დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2023 წლის 20 სექტემბერს.

2.ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
3.სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
7.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა